სოფო უშხვანი, თიკო გიოშვილი, ლევან მოსახლიშვილი

ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი

19-23 მაისს, ესტონეთის ქალაქ ტალინში, Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესტუმრნენ ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს ესტონეთში: სოფო უშხვანი კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლიდან, კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის მენეჯერი თიკო გიოშვილი და ლევან მოსახლიშვილი, კავკასიის სამართლის სკოლის წარმომადგენელი.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეთვალიერებინათ ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტის კამპუსი, გასაუბრებოდნენ აკადემიურ პერსონალს. ამასთან ერთად, მონაწილეებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც გამორჩეულია თანამედროვე ინფრასტრუქტურით და მრავალფეროვანი სერვისებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და ლექტორების სრულფასოვან აკადემიურ მხარდაჭერას. პროგრამის ფარგლებში, დაიგეგმა შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენელთანაც. ვიზიტი მიზნად ისახავდა საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების გაზიარებას.

მობილობა სრულად ემსახურება Erasmus+ პროგრამის მიზნებს - ხელი შეუწყოს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, კულტურულ გაცვლასა და პროფესიულ განვითარებას უმაღლესი განათლების სფეროში.